# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 19 აპრილი 2005 №86 (2409) ფასი 50 თეთრი


# სად გაწყდება გენერალური ხაზი?

## ფედერაციაში ვალერი ჩოლარიას წასვლაზეც ლაპარაკობენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია მალე თანამდებობას დატოვებს ან დაატოვებინებენო, ამბობს ფედერაციის საქმიანობაში ჩახედული ხალხი. ასეთი ვარაუდის საფუძველს მათ ბოლოდროინდელი მოვლენები აძლევს — ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას დაპატიმრება-გადადგომა, უკვე დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები და ახალ-ახალი კანდიდატების გამოჩენა.

იმასაც ამბობენ, რომ ვალერი ჩოლარია, ვინც ფედერაციაში შარშანდელ შემოდგომაზე დაბრუნდა, იქამდე კი ასევე გენმდივნად ოთხი წელი ემუშავა, არჩევნებამდე ანუ 11 ივნისამდე გაათავისუფლებს თავის ამჟამინდელ სკამსო...

მე-2 გვერდი





## ნოდარ ახალკაცი უმცროსი დღეს უფროსებს შეხვდება

ნოდარ ახალკაცი უმცროსი გუშინ გერმანიიდან თბილისში ჩამოვიდა. როგორც ამბობენ, სწორედ ის არის უპირველესი ფავორიტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის. იმასაც ამბობენ, რომ დღეს ახალკაცი ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა შეხვდეს. ამის შემდეგ ძალიან ბევრი რამ გაირკვევა, თუნდაც ის, თუ ვის ექნება პრეზიდენტობის უპირატესი შანსი და ვის არა.

# ყველა ვარსკვლავი: მედიავერსია



ამერიკაში აღმოცენებულმა და იქიდან მთელ მსოფლიოს მოდებულმა ოლ სტარმა 90-იან წლებში საქართველოშიც შემოაღწია და ავად თუ კარგად ჩვენშიც ეწყობა ეგრეთ წოდებული ყველა ვარსკვლავის თამაში. ოლ სტარს აქ მდიდარი ტრადიცია არ აქვს, თუმც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს ამგვარ ღონისძიებებს და უკვე მეორე სეზონია, ეროვნული ჩემპიონატის რჩეული კალათბურთელების მატჩს აწყობს. წლევანდელ ქართულ ოლ სტარამდე ჯერ შორია, ის 28 მაისს გაიმართება, მაგრამ მონაწილეთა შერჩევა აქედანვე დაიწყო. ათმა ქართველმა ჟურნალისტმა უკვე დაასახელა თავისი რჩეული, ხოლო საბოლოოდ საოლსტარო გუნდები მას შემდეგ დაკომპლექტდება, რაც გამოკითხვაში უმაღლესი ლიგის რვავე გუნდის მწვრთნელი მიიღებს მონაწილეობას.

მე-12 გვერდი



## მე და ცქიტიშვილი ფრაიბურგიდან მივდივართ

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

ფრაიბურგელმა ალექსანდრე იაშვილმა ამ უქმეებზე, ბუნდესლიგის 29-ე ტურში „ლევერკუზენს" გაუტანა გოლი, მაგრამ ბოლოადგილოსანმა „ფრაიბურგმა" მაინც წააგო 1:3 და, ვინძლო, მომდევნო ტურში ოფიციალურად გაცხადდეს, რომ მომავალ სეზონში „ფრაიბურგი" მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს. მაგრამ იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი იქ ალბათ აღარ იქნებიან...

# მე და ცქიტიშვილი ფრაიბურგიდან მივდივართ

## იაშვილი პრეზიდენტობაზე არ ლაპარაკობს

„უკვე ვფიქრობ იმაზე, თუ რომელ გუნდში ვითამაშებ მომდევნო სეზონში. მეორე ბუნდესლიგაში თამაში აღარ მსურს. ჩემს აგენტ იორგ ნოიბაუერს ვესაუბრე ამის შესახებ და სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტები უკვე არის" — გვითხრა 27 წლის იაშვილმა.

ეს შემტევი უკვე შვიდ წელზე მეტია, რაც გერმანიაშია. იაშვილმა ჯერ მეორე ბუნდესლიგის „ლიუბეკში" მოსინჯა ძალა, იქ ნახევარი სეზონი დაჰყო და მერეღა გადავიდა „ფრაიბურგში", სადაც უკვე მეშვიდე სეზონს ამთავრებს. იაშვილს, ვინც შარშან „სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, „ფრაიბურგთან" კონტრაქტი ორი წლის შემდეგ ეწურება.

„კონტრაქტი „ფრაიბურგთან" კიდევ ორი სეზონით მაკავშირებს, მაგრამ ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც თუ ჩემი მოსურნე კლუბი გამოჩნდება, „ფრაიბურგი" ჩემში მინიმალურ თანხას მოითხოვს. მოკლედ, „ფრაიბურგის" მხრიდან არანაირი პრობლემა არ შემექმნება" — განგვიმარტა იაშვილმა და იქვე დასძინა, გერმანიიდან წასვლას არ ვაპირებ, აქაურობას და აქაურ ფეხბურთს შევეჩვიე, გერმანული ფეხბურთის ავან-ჩავანი კარგად ვიცი და კვლავაც ბუნდესლიგაში მსურს თამაშიო.

„ფრაიბურგის" დატოვებას ეშურება ლევან ცქიტიშვილიც — მას ამ სეზონის ბოლოს ეწურება კლუბთან კონტრაქტი და, როგორც იაშვილმა გვითხრა, არც ცქიტიშვილს ხიბლავს მეორე ბუნდესლიგაში თამაში.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ფრაიბურგში" მხოლოდ ერთი ქართველი დარჩება — ოთარ ხიზანეიშვილი ისეა ტრავმირებული, რომ ოქტომბერ-ნოემბრამდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

იაშვილს ისეთ აქტუალურ თემაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები რომ არის. რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ „სარბიელს" უთხრა, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მხარს გია ნემსაძეს ვუჭერთო. იაშვილს კალაძის ეს სიტყვები მოვახსენეთ და ასეთი პასუხი მივიღეთ: „ამ საკითხზე საუბარს არ ვაპირებ".

**დავით თამართძილაძე**




| | |
|---|---|
| **გერმანია** | **საფრანგეთი** |
| II ბუნდესლიგა XXIX ტური | მეორე დივიზიონი XXXIII ტური |
| ალემანია 0:0 დუისბურგი | ლე ავრი 1:0 ტრუა |
| **შვედეთი** | **ნორვეგია** |
| ალსვენსკა. II ტური | ტიპელიგა. II ტური |
| ჰეკენი 1:0 სუნდსვალი | ფრედრიკსტადი 2:1 ვიკინგი |
| ჰალმსტადი 3:1 იურგორდენი | **ჩეხეთი** |
| ჰამარბი 0:0 კალმარი | გამბრინუსლიგა XXIII ტური |
| **პორტუგალია** | ლიბერეცი 1:0 ბანიკი |
| სუპერლიგა XXIX ტური | **იტალია** |
| მორეირენსე : სპორტინგი *გვიან გაიმართა* | სერია C/B. XXXIII ტური |
| | სპალ 1:2 სამბენედეტეზე |

# ჩოლარიას კონტრაქტი

## ნებით თუ ძალით გენმდივანი გენმდივანი აღარ იქნებაო



ვალერი ჩოლარია, როგორც ყოველთვის, იურიდიულ ენაზე საუბრობს...

— ჩოლარიას ფეხბურთის ფედერაციასთან ინდივიდუალური კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ამ ხელშეკრულების გაუქმება ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის სურვილით არის შესაძლებელი, თანაც ერთმანეთთან ფინანსური პრეტენზიების გარეშე. ფეხბურთის ფედერაციაში კი მის ალმასკომს ვგული-სხმობ. ჩემთან კონტრაქტის გაწყვეტა ალმასკომსაც შეუძლია და თავადაც შემიძლია. ვიმეორებ, ეს ფინანსური პრეტენზიების გარეშე მოხდება — გვითხრა [illegible] მდივანმა.

ჯერჯერობით კი ვალერი ჩოლარია კონტრაქტის ნებით გაწყვეტას არ აპირებს. მას ამ თვეში ფიფა-უეფაში და სპონსორებთან ერთბაშად ხუთი შეხვედრა აქვს დაგეგმილი. გენმდივანი უნდა დაესწროს უეფას კონგრესს, რომელიც ტალინში შედგება; მიწვეულია ფიფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე, სადაც საქართველოს ნაკრების დისკვალიფიკაციის საკითხი განიხილება; სპონსორების — „უნფროსპორტისა" და „პუმას" ხელმძღვანელებთან მომავალ ურთიერთობაზე ისაუბრებს და უეფას დისციპლინარების წინაშე სიტყვითაც გამოვა. იქ უკვე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თაობაზე ისაუბრებენ — ყოველ მატჩში ქართველი ფეხბურთელის გაძევების ამბავს უეფა უყურადღებოდ არ დატოვებს.

მოკლედ, ვალერი ჩოლარიას აპრილში მნიშვნელოვანი ვიზიტები აქვს და სტატუსიც გენმდივნისა ექნება, მაისიდან კი ვნახოთ...

**კობა ინასარიძე**

# იოზეფ ვენგლოშის 82

## უეფას სტუმარმა ახალი ღოღობერიძეები გვისურვა

**საქართველოში რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და მოგვიანებით ამავე ნაკრების თავკაცი იოზეფ ვენგლოში სტუმრობს, გუშინაც ვნერდით. ვენგლოში უეფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და ჩვენს ქვეყანაში 82 მწვრთნელის გულგასახარად ჩამოვიდა — გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" მათ დიპლომები გადასცა...**



საქართველოს მწვრთნელთა ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარე გაიოზ დარსაძემ მადლობა გადაუხადა ვენგლოშს, მერე კი ბატონი იოზეფი მოჰყვა ამ პროგრამის ქება-დიდებას.

„სწორედ მწვრთნელების მეშვეობით დაიბრუნებს ქართული ფეხბურთი თავის პოზიციებს და თქვენ კიდევ გეყოლებათ ისეთ მოთამაშეები, როგორიც ავთანდილ ღოღობერიძე იყო, რომელსაც პირისპირ შევხვედრივარ მინდორზე. მწვრთნელობისას კი თენგიზ სულაქველიძეს, რამაზ შენგელიას, ალექსანდრე ჩივაძეს და ვლადიმერ გუცაევსაც დავპირისპირებივარ."

ქართველმა მწვრთნელებმა ჯერ B ლიცენზია მიიღეს, ზაფხულიდან ისინი A, შემდეგ კი PRO A ლიცენზიას შეეჭიდებიან. ასე რომ, ჯერ მხოლოდ გზის ერთი მესამედია გავლილი. ვენგლოშმა განაცხადა, რომ ლიცენზირების პროგრამას შოტლანდიელმა ენდი როქსბურგმა შესძინა დინამიურობა და იგი 37 ქვეყანაშია აპრობირებული.

„A და PRO A ლიცენზიებისთვისაც უნდა იმუშაოთ. უეფა მოუთმენლად ელის, როდის შეიტანთ თქვენს წვლილს ფეხბურთის განვითარებაში. თქვენს ცოდნასა და მონდომებაზე უეფაში აუცილებლად ვილაპარაკებ" — ასე მიმართა ვენგლოშმა ქართველ მწვრთნელებს.

თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელი ნოდარ აკობია სალიცენზიო სემინარებზე ლექტორი გახლდათ და გუშინ ისიც იმ 82 მწვრთნელს შორის იყო, რომლებმაც ვენგლოშისგან დიპლომები მიიღეს.

„რომ აგვიჩემებია, ქართული ფეხბურთი მკვდარია და საშველი არ ჩანსო, არც ისე მასეა საქმე. ამ პროგრამის წყალობით ქართველი მწვრთნელებიც შევაბიჯებთ ფეხბურთის დიდ ოჯახში" — თქვა აკობიამ.

დიპლომების გადაცემის შემდეგ გაიოზ დარსაძემ ვენგლოში სიგელით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორმით, ყანწებით და სასმისებით (აბა, ისე როგორ იქნებოდა) დაასაჩუქრა.

ამ ლამაზი ცერემონიალის შემდეგ კი უეფას ჩინოსანმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. ბატონმა იოზეფმა ისიც თქვა, ქართულ ფეხბურთს უეფას მაღალჩინოსნებიდან ყველაზე კარგად ვიცნობო, რაზეც ერთ-ერთი ჟურნალისტი გაეხუმრა — თუ ასეა, ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ხომ არ გაწვრთნიდითო, რაზეც ვენგლოშმა ღიმილით უპასუხა, ქართველებს ისედაც კარგი მწვრთნელი გყავთ, მაგრამ ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოხვდით და არ გაგიმართლათო.

სლოვაკი სტუმარი გუშინწინ „თბილისი" — „ზესტაფონის" მატჩს დაესწრო და შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარა: „ქართველებს დღესაც გყავთ ნიჭიერი და დახელოვნებული ფეხბურთელები, მათში საკმაო პოტენციალი დავინახე".

ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ გუშინ დასაჩუქრებული მწვრთნელებიდან რამდენიმე მაინც მიუახლოვდება ვენგლოშის დონეს. ბატონ იოზეფი ვალერი ლობანოვსკის თუ ჰელმუტ შიონის მსგავს სიმაღლეებს არ შესწვდომია, მაგრამ სწორედ იგი გახლდათ ვაცლავ ჟეჟეკის თანაშემწე, როდესაც ჩეხოსლოვაკიელები 1976 წელს ევროჩემპიონები გახდნენ, 4 წლის შემდეგ ამავე ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო და მაშინ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გაიყვანა გუნდი. გარდა ამისა, ვენგლოშს ინგლისური „ასტონ ვილა", შოტლანდიური „სელტიკი" და პორტუგალიური „სპორტინგი" დაუმოძღვრავს.

**ილია ნანობაშვილი**

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა**

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა**

**მეორე ეტაპი**

## 28 ტური მიმოხილვა

# ზუზუნები

*ზესტაფონი ზეზეა და „ზესტაფონისგან" ზეგუნდობის ზეობას ელიან, ზაზა ზირაქიშვილის ზღვარი კი მხოლოდ მისი ავლაბრული ჩუბინობა არ უნდა იყოს, „ზესტაფონი" ზმუილით ზომავს გუნდებს...*

*ზზზზზზ... სადაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე საუბრობენ, იქ ყველაზე ხშირადჟღერადი თანხმოვანი სწორედ ზ გახლავთ და ეს ზ ამ ტურმა კიდევ უფრო აზუზუნა.*

*მართლა ასეთი ზორბაა „ზესტაფონი"? ცოტაც მოვიცადოთ, თუ 4 მაისს საქართველოს თასის ნახევარფინალში „ზესტაფონი" ერთხელაც სძლევს „თბილისს", ზ კიდევ უფრო ემფაზური გახდება, მანამდე კი ჩემპიონატის ზოზინა მატჩების გარდა ალბათ სასეიროებსაც გამოვრჩებით და ერთხელაც ვნახოთ, როგორია „ზესტაფონური" ზნე...*



თემურ მახარაძე

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 0:3 | ზესტაფონი |
| ვიტ ჯორჯია | 6:0 | კოლხეთი |
| ბათუმი | 3:0 | დილა |
| სიონი | 0:1 | დინამო |
| ლოკომოტივი | 0:0 | ტორპედო |



ზაზა ზირაქიშვილი



მიხეილ ბობოხიძე

## ზაზას გოლიადა და დანაფსული ბობო

თემურ მახარაძის აწყობილ ანსამბლს „ოლიმპზე" ერთი კარგი სოლისტი ჰყავდა — ზაზა ზირაქიშვილმა დუბლი შეასრულა, მეორე ეტაპზე კი უკვე ექვსი გოლი მოუგროვდა. ზაზა 29 წლისაა, მაგრამ კახური ღვინოსავითაა: რაც ასაკი ემატება, უფრო გამოსადეგი ხდება.

ზირაქიშვილის ანტიპოდია ლოკომოტიველი მიხეილ ბობოხიძე, რომელსაც, აგერ, უკვე 12 ტურია, გოლი არ გაუტანია, თანაც „ბობო" ისეთ მომენტებს ანიავებს, მართლა იფიქრებ, ფეხბურთში მჩხიბავები ტრიალებენო...

## საკვირაო სპორტის თავები

ვერ გეტყვით, კვირადღე ბოლნისში ფეხბურთის გარდა რაიმე სპორტული მოვლენით აღსანიშნი თუ იყო, თუმც ფაქტია, „თამაზ სტეფანიას" სტადიონის ლოჟა „სიონი" — „დინამოს" მატჩისას ჩინიანი სტუმრებით სავსე იყო. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ნამგალაურის, პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის უფროსის ვალერი გიორგობიანისა და მათ თანხმლებთა მასპინძელი ბოლნისის რაიონის გამგეობა იყო. სტუმართა შორის იყო ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი ნემსაძეც.



| ბომბარდირები | |
|---|---|
| 22-მელქაძე | დინამო |
| 19-მეგრელაძე | ტორპედო |
| 11-ოდიკაძე | თბილისი/დინამო |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10-ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| 9-დვალი | დინამო |
| 8-მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | თბილისი |
| ზიზია | თბილისი |
| ზირაქიშვილი | ზესტაფონი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 18 | 4 | 6 | 59:24 | 58 |
| ტორპედო | 28 | 14 | 10 | 4 | 43:23 | 52 |
| თბილისი | 28 | 15 | 6 | 7 | 48:32 | 51 |
| ლოკომოტივი | 28 | 12 | 12 | 4 | 34:19 | 48 |
| ზესტაფონი | 28 | 13 | 4 | 11 | 30:39 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 11 | 8 | 9 | 45:32 | 41 |
| ბათუმი | 28 | 8 | 10 | 10 | 31:24 | 34 |
| კოლხეთი | 28 | 7 | 5 | 16 | 25:44 | 26 |
| სიონი | 28 | 7 | 4 | 17 | 24:50 | 25 |
| დილა | 28 | 2 | 3 | 23 | 16:68 | 9 |

### მომდევნო ტური

21 აპრილი, ხუთშაბათი

კოლხეთი – თბილისი

ბათუმი – ლოკომოტივი

დილა – სიონი

ზესტაფონი – ტორპედო

დინამო – ვიტ ჯორჯია

### სიმბოლური ნაკრები

ზაზა ზირაქიშვილი — ზესტაფონი

ლევან მელქაძე — დინამო

შოთა ბაბუნაშვილი — დინამო

დავით იმედაშვილი — ვიტ ჯორჯია

გიორგი თურმანიძე — ზესტაფონი

ლევან სილაგაძე — დინამო

რონ ონიანი — ლოკომოტივი

გიორგი გაბუნია — ზესტაფონი

დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო

თენგიზ ჩიკვილაძე — ზესტაფონი

ზვიად სტურუა — ლოკომოტივი

გუნდი: ზესტაფონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე



მალხაზ ასათიანი

# ჟურნალისტებმა ხმას და ქულებს აუწიეს

***მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა*** — „შალკემ“ ისევ წააგო და უკვე თამამად შეიძლება საჩემპიონო რბოლიდან გელზენკირხენელთა ჩამოწერა. „შალკემ“ უდროო დროს „აილო“ პიტ-სტოპი და ამით „ბაიერნმა“ ისარგებლა: ამ გუნდებს შორის სხვაობა ექვს ქულამდე გაიზარდა.

„შალკეს“ ამჯერზე „ჰამბურგმა“ დაახრევინა თავი — რალფ რანგნიკის ბიჭებმა მშობლიურ „აუფ შალკეზე“ 1:2 წააგეს, არადა, ჯერალდ ასამოას გოლით იგებდნენ. ჩვენ კი, ბუნებრივია, *ლევან კობიაშვილის* ამბები უფრო გვაინტერესებს და გეტყვით, რომ ქართველმა ნახევარმცველმა სრულად ითამაშა და „კიკერისგან“ არცთუ ურიგო შეფასება მიიღო.

***თავი გამოიჩინა ალექსანდრე იაშვილმაც, ოღონდ, რა თქმა უნდა, მისმა „ფრაიბურგმა“ წააგო...*** „იაშკამ“ დაწინაურებულ „ლევერკუზენს“ კი გაუთანაბრა, მაგრამ სტუმრები არ გატყდნენ და დაწყებული საქმე მეორე ტაიმში წარმატებულად მოამთავრეს.

***მოულოდნელად წააგო „მილანმა“.*** ჰოდა, „იუვენტუსი“ რისი „იუვენტუსი“ იქნებოდა, შეცდომა ეპატიებინა... ასეც მოხდა, „იუვემ“ იოლად მოიგო და მილანელებს ადგილი გაუცვალა. მოკლედ, კარლო ანჩელოტის გუნდის ხანგრძლივი ლიდერობა დასრულდა და ამ საქმეს საფუძველი პატარა „სიენამ“ ჩაუყარა — სწორედ „სიენასთან“ წაიბორძიკეს *კახა კალაძემ* და მისმა ძმაბიჭებმა.

***რუსულ პრემიერლიგაში მალხაზ ასათიანი გამოირჩა.*** მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველმა მცველმა „კრილია სოვეტოვთან“ ისე ითამაშა, რომ ჟურნალისტებმა ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს, რაც უკვე ჩატარებულ ხუთ ტურში მეორედ მოხდა. ასათიანს უკვე დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთში და მალხაზიც თამაშიდან თამაშამდე შესამჩნევად უმატებს.

***ვლადიკავკაზის „ალანიამ“ კი ისევ წააგო და მთავარი მწვრთნელის გარეშეც დარჩა*** — ბახვა თედეევმა გუნდი დატოვა. „სატურნთან“ სტუმრად გამართულ მატჩში ალანიელთაგან *ვიტალი დარასელია* გამოირჩა, ვინც საგოლე პასი გააკეთა და ჟურნალისტებისგანაც ყველაზე მაღალი, 6,0 ქულა დაიმსახურა...

***სიმფეროპოლის „ტავრიამ“ და ვასილ გიგიაძემ კვლავაც გააკვირვეს უკრაინა.*** ყირიმელებმა „დნიპროს“ ქულა აართვეს, თუმც გიგიაძის გოლით დაწინაურებულებს მოგებაც შეეძლოთ. ვასოსთვის კი ეს გოლი მეცხრეა ამ სეზონში...

***ქართველების „რეინჯერსმა“ 1:0 მოუგო „დანფერმლაინს“ და ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ „სელტიკს“.*** „დანფერმლაინთან“ *შოთა არველაძემ* ბოლო ნახევარი საათი ითამაша, *ზურაბ ხიზანიშვილი* კი სათადარიგო იყო.

***ლატვიის ჩემპიონატის მეორე ტურში ორი მოწინავე გუნდი შეხვდა ერთმანეთს*** — „ვენტსპილსმა“ „სკონტოს“ უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა. საინტერესოა, რომ წლების წინ სკონტოელთა კაპიტანი, ახლა კი „ვენტსპილსის“ თავი *ალექსანდრე რეხვიაშვილი* მსაჯთან შელაპარაკების გამო 88-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | სიენა 1:2 | 90 | | 14 | [illegible] | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰამბურგი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 28 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 1:3 | 90 | 1 გოლი | 26 | 3 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 1:3 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 19 | 1 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | აინტრახტი 0:5 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 2 | 7 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | ბურგჰაუზენი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 1 | 12 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანფერმლაინი 1:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 19 | 4 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | დანფერმლაინი 1:0 | 0 | სათადარიგო | 15 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ნაიმეგენი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | კრილია 0:0 | 90 | | 5 | 0 | 6 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | კრილია 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 6 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | კრილია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | კრილია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | კრილია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | სატურნი 1:3 | 90 | საგოლე პასი, გააფრთხილეს | 3 | 0 | 16 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | სატურნი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 16 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | სატურნი 1:3 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 16 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | სატურნი 1:3 | 90 | | 4 | 0 | 16 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | სატურნი 1:3 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 16 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | სატურნი 1:3 | 63 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ამკარი 2:0 | 90 | | 2 | 0 | 9 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | სკა-ენერგია 1:0 | 90 | | 1 | 0 | 2 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | სკა-ენერგია 1:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 2 |
| ვალერი აბრამიძე | ხიმკი | შ | სკა-ენერგია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ლუჩ-ენერგია 0:1 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ჩელიაბინსკი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | ბრიანსკი 0:0 | 90 | | 2 | 0 | 18 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | პეტროტრესტი 1:1 | 78 | შეცვალეს | 3 | 0 | 20 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ჩკალოვეცი 0:0 | 90 | | 5 | 0 | 19 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | ანჟი 0:1 | 90 | | 4 | 0 | 12 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | გრასჰოპერი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 4 | 0 | 3 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | ს | ივერდონი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 3 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რაპიდი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 8 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | აეკ 1:2 | 90 | | 24 | 0 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | | 19 | 4 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | კრივბასი 1:3 | 90 | | 17 | 2 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | დნიპრო 1:1 | 90 | 1 გოლი | 21 | 9 | 8 |
| ალეკო ამისულაშვილი | დნიპრო | ს | ტავრია 1:1 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| გრიგოლ ჭანტურია | ზაკარპატიე | შ | არსენალი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ვოლინი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 3 | 12 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | ჩერნო მორე 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 21 | 4 | 1 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ცსკა 0:1 | 90 | | 12 | 0 | 6 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | ცსკა 0:1 | 70 | შეცვალეს | 8 | 2 | 6 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | პოლონია 4:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 1 | 5 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 3:1 | 57 | შეცვალეს | 2 | 0 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 3:1 | 90 | | 2 | 0 | 1 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | ვენტსპილსი 3:1 | 90 | | 2 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 3:1 | 54 | შეცვალეს | 1 | 0 | 1 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ს | რიგა 1:0 | 90 | | 2 | 0 | 2 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | სკონტო 1:3 | 88 | გააძევეს | 2 | 0 | 3 |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | შ | სკონტო 1:3 | 0 | | 1 | 0 | 3 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | ს | ოლიმპი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 4 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | აქტობე 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ყველაფერი ლონდონში გადაწყდება

## ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

| XXXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლტონი | : | საუთჰემპტონი |
| მიდლსბრო | : | ფულემი |
| **ხვალ** | | |
| ნორვიჩი | : | ნიუკასლი |
| პორტსმუთი | : | ლივერპული |
| ასტონ ვილა | : | ჩარლტონი |
| ბლეკბერნი | : | კრ. პალასი |
| ჩელსი | : | არსენალი |
| ევერტონი | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | ბირმინგემი |
| ტოტენჰემი | : | ვესტ ბრომვიჩი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 32 | 25 | 6 | 1 | 62:12 | 81 |
| არსენალი | 32 | 21 | 7 | 4 | 73:33 | 70 |
| მანჩესტერი | 32 | 19 | 10 | 3 | 48:19 | 67 |
| ევერტონი | 32 | 16 | 6 | 10 | 39:33 | 54 |
| ბოლტონი | 33 | 15 | 7 | 11 | 43:37 | 52 |
| ლივერპული | 33 | 15 | 6 | 12 | 46:34 | 51 |
| ტოტენჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 41:37 | 47 |
| მიდლსბრო | 32 | 12 | 9 | 11 | 45:43 | 45 |
| ასტონ ვილა | 33 | 12 | 9 | 12 | 41:42 | 45 |
| ჩარლტონი | 33 | 12 | 8 | 13 | 40:50 | 44 |
| სიტი | 33 | 10 | 11 | 12 | 39:37 | 41 |
| ბირმინგემი | 33 | 9 | 11 | 13 | 35:39 | 38 |
| ნიუკასლი | 31 | 9 | 11 | 11 | 41:49 | 38 |
| ბლექბერნი | 32 | 8 | 12 | 12 | 28:37 | 36 |
| პორტსმუთი | 33 | 9 | 8 | 16 | 37:51 | 35 |
| ფულემი | 32 | 9 | 7 | 16 | 38:52 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 5 | 13 | 14 | 31:52 | 28 |
| საუთჰემპტონი | 33 | 5 | 12 | 16 | 36:54 | 27 |
| კრ. პალასი | 33 | 6 | 9 | 18 | 36:57 | 27 |
| ნორვიჩი | 33 | 4 | 12 | 17 | 35:66 | 24 |



AFP ლივერპულიდან

**დღეს** პრემიერლიგის ტური იწყება, მაგრამ მთავარი მატჩი ხვალაა. ლონდონური ბათქაბუთქი „ჩელსისა“ და „არსენალს“ შორის „სტემფორდ ბრიჯზე“ შედგება. რომან აბრამოვიჩის ფულითა და ჟოზე მაურინიოს ინტელექტით შექმნილი „ჩელსი“ თანაქალაქელ „არსენალს“ მასპინძლობს.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა „ჰაიბერიზე“ 2:2 დასრულდა. ახლა, როცა აბრამოვიჩის გუნდს პრემიერლიგის ჩემპიონობამდე ნაბიჯი უკლია და თან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც არის გასული, „არსენალთან“ პრინციპული მატჩი მისთვის ბევრს ნიშნავს, რადგან „ჩელსიმ“ ხვალ თუ მოიგო, ინგლისში პირველობა ფაქტობრივად განაღდებული ექნება, მაგრამ თუ წააგო, მაშინ „არსენალი“ საჩემპიონოდ თეორიულ შანსს შეინარჩუნებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ჩელსის“ მომდევნო ტურის შეხვედრაც შინ, „ფულემთან“ აქვს, რომელიც ასევე ლონდონური კლუბია.

ჟოზე მაურინიუს გუნდმა ამ სეზონში ერთი ჯილდო, ლიგის თასი უკვე მოიგო. მან „ლივერპული“ დაამარცხა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში შეხვდება.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „ჩელსიმ“ „ბაიერნთან“ წააგო, მაგრამ მიუნხენში დაშავებული ჯონ ტერი უკვე მომჯობინდა და ეგებ ლონდონურ დერბიში ითამაშოს კიდეც. აღსანიშნავია ისიც, რომ არიენ რობენი თავს უკეთ გრძნობს, ვარჯიშობს და სავარაუდოდ „არსენალთან“ შეხვედრაში დაბრუნდება.

„არსენალს“ „ბლექბერნთან“ სათასო ნახევარფინალში ტიერი ანრი არ ჰყავდა. შესაძლოა, ფრანგმა „ჩელსისთან“ სამატჩოდ ვერ მოასწროს მომზადება, ისევე როგორც ფრედი ლიუნგბერგმა, ხოლო სოლ კემპბელი ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

აქვე ისტორიას გადავხედოთ, რომელიც გვეუბნება: 1995 წლის შემდეგ „ჩელსის“ შინ „არსენალთან“ არ მოუგია.

რაც შეეხება ტურის დანარჩენ მატჩებს, ლივერპულში „ევერტონი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლებს. ეს იქნება სტუმრობა უეინ რუნისა მშობლიურ „გუდისონ პარკზე“.

ბოლო ორ ტურში ექვსი ქულის ამღები „ბოლტონი“ „საუთჰემპტონს“ დაუხვდება, ხოლო „ლივერპული“ ზღვისპირა „პორტსმუთს“ ეწვევა მოსაგებად, რათა „ევერტონს“ დაეწიოს, გადაასწროს და პრემიერლიგაში მეოთხე ადგილი წაართვას.

| ასოციაციის თასი ნახევარფინალი |
|---|
| **არსენალი 3:0 ბლექბერნი** |
| 1:0 პირესი (42), 2:0, 3:0 ვან პერსიე (87, 90) |
| **ნიუკასლი 1:4 მანჩესტერი** |
| 0:1 ვან ნისტელროი (19), 0:2 სქოულზი (45), 0:3 ვან ნისტელროი (58), 1:3 ამეობი (59), 1:4 კ. რონალდო (76) |

# დარტყმა სახეში



AFP ნიუკასლიდან

ნიუკასლი — მანჩესტერი 1:4. პოლ სქოულზმა მასპინძლებს მეორე გოლი გაუტანა

**ჩემპიონთა** ლიგაში ხელმოცარული „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში გავიდნენ. „მეთოფეებს“ ეს უძველესი ჯილდო ცხრაჯერ, მანჩესტერელ „წითლებს“ კი თერთმეტჯერ მოუგიათ. ორივე გუნდმა ფინალში მეჩვიდმეტედ გაღწია და ცხადია, მათი საფინალო ჯახი კარდიფში მეტად საინტერესო იქნება.

„არსენალმა“ „ბლექბერნი“ ტიერი ანრის გარეშე დაამარცხა. ფრანგი ფორვარდი ტრავმირებული იყო, მაგრამ „მეთოფეებს“ მისი არყოფნა არ დაეტყოთ. ანგარიში რობერ პირესმა კოლო ტურეს პასით გახსნა, რომელიც შეტევაში კარგად ჩაერთო.

მატჩში ორივე მხარე საკმაოდ უხეშობდა — აქეთ-იქიდან შვიდი ფეხბურთელი გააფრთხილეს. შეხვედრის ბედი შეცვლაზე შესულმა რობინ ვან პერსიმ გადაწყვიტა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა მოედანზე გამოჩენიდან რვა წუთში ორი კოხტა გოლი მიითვალა, მაგრამ „ბლექბერნის“ კაპიტანმა ენდი ტოდმა გახარებულ ვან პერსის იდაყვი მიჰკრა სახეში. მეგოლემ ნამატჩევს თქვა, არ ვიცი, შეგნებულად დამარტყა თუ არა, სახე დამისივდა, მაგრამ, მგონი, საშიში არაფერიაო.

იგივე განაცხადა არსენ ვენგერმა, ძალიან ძნელი იქნება იმის დამტკიცება, რომ ტოდმა შეგნებულად იუხეშაო. „არსენალის“ მწვრთნელმა მსაჯობაზეც დაიწუწუნა, რეფერი პირველ ტაიმში უბრალო შეხებაზეც კი აჩერებდა თამაშს, მეორე ნახევარში კი უფრო უკეთ იმსაჯაო.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ნიუკასლს“ 4:1 მოუგო და ამ გამარჯვებაში სერ ალექს ფერგიუსონს განსაკუთრებით რუდ ვან ნისტელროის წყვილი გოლი გაუხარდა. ჰოლანდიელ ფორვარდს ზედიზედ რვა მატჩის განმავლობაში არ გაეტანა და ნავსი გატეხა.

„ვან ნისტელროიმ პირველი გოლი არაფრისგან შექმნა — თქვა ფერგიუსონმა — ეს მისთვის ჩვეული ამბავია, ძალიან მიხარია, რომ იგი კვლავ ფორმაშია. ასეთი დასაწყისის შემდეგ ვან ნისტელროის შეჩერება ძნელია. ვიმედოვნებ, ასევე გააგრძელებს“.

ჰოლანდიელმა მეგოლემ ანგარიში მეცხრამეტე წუთზე გახსნა, ხოლო მეორე პოლ სქოულზმა კრისტიანო რონალდოს პასით გაიტანა. სულ ვან ნისტელროიმ მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქის შეცდომით ისარგებლა და მესამედ დაამწუხრა „ნიუკასლი“, თუმც „კაჭკაჭმა“ შოლა ამეობიმ წუთის შემდეგ სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირა. მიუხედავად ამისა, მანჩესტერელთა პორტუგალიელმა გარემარბმა რონალდომ მეოთხე გოლიც მიაყოლა და „ნიუკასლი“ ოთხ დღეში ორჯერ ერთნაირი ანგარიშით დამარცხდა. ნიუკასლელებმა გასულ ხუთშაბათს ლისაბონში „სპორტინგთან“ 1:4 წააგეს.

რუდ ვან ნისტელროიმ ნამატჩევს თქვა: „ახლა ჩვენ „არსენალი“ გველის, ეს სულ სხვა სამყაროა. დიდებული ფინალი გამოვა“.

„ნიუკასლის“ თავკაცმა გრემ სუნესმა კი აღნიშნა, ჩემს ფეხბურთელებზე აუგს ვერ ვიტყვი, „სპორტინგთან“ მარცხის შემდეგ წაგებულ-დაღლილებმა ძალები ვერ აღიდგინესო.

# ქალბატონი იხტიბარს არ იტეხს



ალესანდრო დელ პიერო უფალს ძველ დიდებას შესთხოვს

**იტალიური** „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი ლუჩიანო მოჯი იხტიბარს არ იტეხს — ყველაფერი კარგად არის, „ლივერპულთან“ მარცხი უნდა დავივიწყოთ და მომავალზე ვიფიქროთო. იმედიანადაა გუნდის თავკაცი ფაბიო კაპელოც. თუმც ტურინელთა ბანაკში იდეალური სიტუაცია რომ არ არის, ფაქტია. „ბებერი ქალბატონის“ კაპიტანი ალექს დელ პიერო კვლავ უკმაყოფილოა. დაახლოებით ანალოგიური განწყობაა ქომაგებშიც.

ბოლო დროს „იუვენტუსს“ ხშირად აკრიტიკებდნენ, გუნდი შთამბეჭდავ თამაშს ვერ აჩვენებს და ძალიან მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვსო, მაგრამ გასულ უქმეებზე „ლეჩესთან“ დიდი ანგარიშით, 5:2 გამარჯვების შემდეგ ტურინელთა ხელმძღვანელებს თავის მართლების და ქომაგების შეგულიანების საფუძველი მიეცათ.

„ახლა ჩვენ უპირატესობა გვაქვს. სკუდეტოსთვის ბრძოლა გრძელდება. ჩემპიონთა ლიგაში უიღბლობის შემდეგ დავამტკიცეთ, რომ შესანიშნავი გუნდი გვყავს, ხოლო სათადარიგოთა სკამზე იმდენი ფეხბურთელი ზის, რამდენიც არის საჭირო. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ თითქმის მთელ სეზონს ნედვედისა და ტრეზეგეს გარეშე ვატარებთ. გვყავს რამდენიმე ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშე. განსაკუთრებით მაზიელოს გამოვარჩევდი“ — განაცხადა მოჯიმ.

ფაბიო კაპელოს კომენტარი კი ასეთია: „სატურნინო ცხრილს რომ ვუყურებ, მეღიმება. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგანაც ვაჩვენეთ, რომ არანაირი ფიზიკური პრობლემები არ გვაქვს და ფსიქოლოგიური შოკიდნაც გამოვედით. „ლივერპულთან“ ზედმეტი თავდაჯერებულობისა და უიღბლობის გამო დავმარცხდით. ვფიქრობდით, რომ გოლის გატანა არ გაგვიჭირდებოდა. თანაც ინგლისელებმა კატენაჩო დაგვიპირისპირეს“.

„ლეჩესთან“ მატჩში ალექს დელ პიერო კაპელომ პირველი ტაიმის შემდეგ მარსელო ზალაიეტათი შეცვალა. ტურინელთა კაპიტანმა კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება. აქვე შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში მან სერია **A**-ს მხოლოდ 5, ხოლო ევროტურნირების 3 მატჩი ჩაამთავრა ბოლომდე.

„ცხადია, რომ ალექსი უკმაყოფილოა და თავს ბედნიერად არ გრძნობს ამ ყველაფრით. თუმც ცვლილება თამაშის შემადგენელი ნაწილია და მჯერა, სხვანაირად არ უყურებს ამას. ჩვენ დელ პიეროს შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება და მისი იმედი გვაქვს, მაგრამ ახლა არც ისე კარგ ფორმაშია“ — დაამატა მოჯიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# სიომინი — ქართველთა ყოფილი და რუსთა ახალი მწვრთნელი

**ხანგრძლივი** ფიქრისა და მოლაპარაკებების შემდეგ რუსეთის ნაკრები მოსკოვის „ლოკომოტივის“ ანუ მალხაზ ასათიანისა და მიხეილ აშვეთიას უკვე ყოფილ თავკაც იური სიომინს ჩააბარეს. იგი საქმეს დღეს შეუდგა და მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ამ პოსტზე 31 დეკემბრამდე იმუშავებს. ცნობილია ისიც, რომ სიომინი თვეში 20 ათას დოლარს მიიღებს, წარმატების შემთხვევაში კი სოლიდურ პრემიებსაც ჩაუთვლიან.

„ჩვენი ნაკრების მწვრთნელობაზე უამრავი სპეციალისტი დათანხმდებოდა, თუმც საბოლოოდ გადავწყვიტეთ, გუნდი ადგილობრივ ფეხბურთში და ვითარებაში კარგად გარკვეული, გამოცდილი სპეციალისტისთვის ჩაგვებარებინა. რა თქმა უნდა, იგი „ლოკომოტივს“ დატოვებს და მხოლოდ ნაკრებზე იქნება კონცენტრირებული, ხოლო თუ მოლოდინს ვერ გაამართლებს, კლუბში დაბრუნდება“ — განაცხადა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიტალი გუტკომ.

მოსკოვის „ლოკომოტივს“ ამიერიდან აქამდე მეორე მწვრთნელად მომუშავე ვლადიმერ ეშტერკოვი უთავკაცებს. თავად სიომინმა თავის შემცვლელს საქებარი სიტყვები არ დააკლო და ქომაგები შეაგულიანა.

იური სიომინი: „ეს ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოა. ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემთ, რადგან რთულ ჯგუფში ვართ, მაგრამ ვითარების გამოსწორება ყველამ ერთად უნდა შევძლოთ. მომავალი თამაში ლატვიასთან გვაქვს და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. რაც შეეხება „ლოკომოტივს“, არა მგონია, ჩემი წასვლით გუნდი კრიზისში ჩავარდეს, რადგანაც სტაბილური კოლექტივის შექმნა შევძელით. „ლოკო“ ფაქტობრივად ჩემი მშობლიური კლუბია და ვერასოდეს დავივიწყებ. ცხადია, კვლავ ყველა მატჩს დავესწრები, თან ნაკრებისთვის ფეხბურთელებს შევარჩევ“.

**გიორგი ძაძაბაძე**

## პოლონეთი

### ეროვნული ლიგა
### XVII ტური

გურნიკი — კრაკოვია 1:0; ლეხი — ზაგლებე 2:0; ლეჩნა — კატოვიცე 4:2; პოლონია — პლოცკი 1:4; გროცლინი — ამიცა 4:0; ვისლა — პოგონი 1:1; ლეგია — ოდრა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 17 | 13 | 4 | 0 | 50:11 | 43 |
| გროცლინი | 18 | 11 | 1 | 6 | 35:20 | 34 |
| ლეგია | 18 | 9 | 5 | 4 | 24:14 | 32 |
| ამიცა | 16 | 8 | 4 | 4 | 21:17 | 28 |
| პლოცკი | 17 | 8 | 3 | 6 | 26:24 | 27 |
| კრაკოვია | 17 | 7 | 4 | 6 | 22:15 | 25 |
| ზაგლებე | 17 | 5 | 7 | 5 | 24:26 | 22 |
| პოგონი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:33 | 22 |
| პოლონია | 18 | 6 | 4 | 8 | 21:36 | 22 |
| გურნიკი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:18 | 20 |
| ლეჩნა | 17 | 6 | 2 | 9 | 23:26 | 20 |
| ოდრა | 17 | 5 | 2 | 10 | 16:25 | 17 |
| ლეხი | 17 | 4 | 3 | 10 | 19:31 | 15 |
| კატოვიცე | 17 | 2 | 2 | 13 | 18:46 | 8 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა
### XXX ტური

ადმირა — ტიროლი 1:0; მატერსბურგი — ზალცბურგი 2:0; შტურმი — რაპიდი 1:1; პაშინგი — გრაცერი 0:3; აუსტრია — ბრეგენცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 29 | 17 | 4 | 8 | 47:37 | 55 |
| აუსტრია | 28 | 15 | 9 | 4 | 51:18 | 54 |
| რაპიდი | 28 | 15 | 9 | 4 | 46:21 | 54 |
| გრაცერი | 29 | 16 | 5 | 8 | 42:23 | 53 |
| მატერსბურგი | 30 | 12 | 6 | 12 | 43:45 | 42 |
| ადმირა | 29 | 10 | 6 | 13 | 32:44 | 36 |
| ტიროლი | 30 | 8 | 9 | 13 | 38:43 | 33 |
| შტურმი | 30 | 7 | 9 | 14 | 27:41 | 30 |
| ზალცბურგი | 29 | 6 | 6 | 17 | 28:43 | 24 |
| ბრეგენცი | 30 | 4 | 9 | 17 | 27:66 | 21 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXVI ტური

შაფჰაუზენი — ქსამაქსი 2:1; თუნი — აარაუ 5:0; ბაზელი — იანგ ბოისი 1:1; გრასჰოპერი — ციურიხი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 26 | 14 | 7 | 5 | 57:37 | 49 |
| თუნი | 25 | 14 | 4 | 7 | 48:23 | 46 |
| ციურიხი | 27 | 10 | 8 | 9 | 40:42 | 38 |
| გრასჰოპერი | 27 | 9 | 11 | 7 | 32:37 | 38 |
| იანგ ბოისი | 26 | 9 | 8 | 9 | 46:43 | 35 |
| ქსამაქსი | 25 | 9 | 6 | 10 | 31:30 | 33 |
| სენტ გალენი | 25 | 7 | 9 | 9 | 35:41 | 30 |
| აარაუ | 25 | 6 | 6 | 13 | 34:50 | 24 |
| შაფჰაუზენი | 26 | 5 | 8 | 13 | 28:44 | 23 |
| სერვეტი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | 23 |

*„სერვეტი“ მოხსნილია ჩემპიონატიდან*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




**პორტუგალიის** ნაკრებისა და „რეალის“ ნახევარმცველ ლუიშ ფიგუს მყიდველი ემირატებიდანაც გამოუჩნდა. „ალ-ხაატას“ ხელმძღვანელობამ მას უკვე შესთავაზა საკმაოდ მომხიბვლელი თანხა, მაგრამ ფიგუმ განაცხადა, კიდევ რამდენიმე წელიწადი ევროპაში მსურს თამაში, მერე კი არაფერს არ გამოვრიცხავო.

**იტალიური** „ინტერის“ მცველ მარკო მატერაცის ტრავმა არც ისე სერიოზულია, როგორც თავიდან ჩანდა, ოღონდ, მილანელთა მთავარი ექიმი ფრანკო კომბი დაზუსტებით მაინც ვერ ამბობს, რა დრო დასჭირდება მის რეაბილიტაციას. მოგეხსენებათ, შავ-ლურჯთაგან დაშავებულია ენდი ვან დერ მეიდეც, რომელიც სავარაუდოდ 2-3 კვირა ვერ იბურთავებს.

**ინგლისურ** პრესაში გავრცელებულ ცნობებს თუ ვენდობით, შესაძლოა რუუდ ვან ნისტელროიმ სეზონის ბოლოს „მანჩესტერი“ დატოვოს. როგორც ამბობენ, თავდამსხმელი თანაგუნდელებსა და სერ ალექს ფერგიუსონს ველარ უგებს. თავის მხრივ, გუნდის ხელმძღვანელობა ბოლო ხანს მისი თამაშით უკმაყოფილო იყო, თუმცა ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ნიუკასლის“ ძლევის შემდეგ ფერგიუსონმა ჰოლანდიელის შესახებ კარგად ილაპარაკა.

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა“ „პიუნიკის“ პერსპექტიული თავდამსხმელი ედგარ მანუჩარიანი შეიძინა. 18 წლის სომეხმა ამსტერდამელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

**იტალიური** „ლაციო“ ემანუელ და ანტონიო ფილიპინებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. რომაელთა ხელმძღვანელობა მიმდინარე სეზონში ტყუპების თამაშით ძალიან კმაყოფილია და გადაწყვიტა, ისინი ხანგრძლივი ვალდით შეინარჩუნოს. მხარეები მოლაპარაკებას უახლოეს მომავალში დაიწყებენ.

**რუსული** „როსტოვის“ მთავარ მწვრთნელად 35 წლის ინგლისელი პოლ ეშუორტი დაინიშნა. აქამდე იგი კლუბის სპორტული დირექტორი იყო. როსტოველებმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეს და გუნდის ხელმძღვანელობამ გენადი სტეპუშკინი ამიტომაც შეცვალა. თუ ეშუორტი მოლოდინს გაამართლებს, მოგვიანებით მასთან ხანგრძლივი კონტრაქტიც გაფორმდება.

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფორვარდი დავიდ ტრეზეგე ტურინულ კლუბს მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის და ირწმუნება, რომ არსად არ მივდის. „ახლა, რეაბილიტაციის პერიოდში, ცოტა ხნით ფეხბურთი უნდა დავივიწყო და ამ რთულ დროს მთელი კლუბი გვერდზე მიდგას, რასაც ძალიან ვაფასებ. ბოლო წუთებამდე ვცდილობდი ტკივილი დამემარცხებინა და „ლივერპულთან“ მეთამაშა, მაგრამ ვერ შევძელი. ასევე მინდა, ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ „იუვედან“ წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა ფრანგმა.

**ესპანური** „რეალი“ „ინტერის“ ბრაზილიელ თავდამსხმელ ადრიანოზე ფიქრს არ ეშვება. როგორც ირკვევა, მადრიდელთა პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი მილანელთა მფლობელ მასიმო მორატისთან მოლაპარაკებასაც კი აწარმოებს. „სამეფო კლუბის“ უფროსობას იმედი აქვს, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლაში უიმედოდ დარჩენილი „ინტერი“ დიდ ფულზე უარს არ იტყვის.

**იტალიური** „მილანის“ ლიდერი ანდრეი შევჩენკო უკრაინელი ობოლი ბავშვებისთვის კიდევ ერთ საქველმოქმედო მატჩს გამართავს, რომელშიც ერთმანეთს „შევას“ მიერ მოწვეული მეგობრები და იტალიის ესტრადის ვარსკვლავები შეხვდებიან. „ჩვენ გვინდა, რომ „სან სირო“ გაივსოს და იმედია, ასეც მოხდება. სასიამოვნო ატმოსფერო უნდა შევქმნათ და არა საბრძოლო“ — თქვა ფეხბურთელმა.

**გერმანული** „შტუდგარტის“ ნახევარმცველი ალექსანდრ გლებით უამრავი კლუბია დაინტერესებული. მათ შორის არიან: „იუვენტუსი“, „ინტერი“, „რეალი“, „არსენალი“, „მანჩესტერი“, „ევერტონი“, „ლივერპული“ და „ნიუკასლი“. ბელარუსის აგენტმა ნიკოლაი შპილევსკიმ არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ მისმა კლიენტმა ხსენებულთაგან რომელიმეს წინადადება მიიღოს და ბუნდესლიგა დატოვოს.

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „იუვენტუსის“ მცველი ლილიან ტურამი ლუის არაგონესის მკაცრად დასჯას მოითხოვს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ესპანეთის ნაკრების თავკაცმა ტიერი ანრი რასისტული შინაარსის სიტყვებით მოიხსენია, რის მერეც მას ალანაშაულებენ. „ეს აუხსნელი და ძალიან ცუდი საქციელია. სულ მცირე სასჯელი მისი პოსტიდან განთავისუფლება იქნებოდა, მაგრამ ახლა უკვე იმას ვეჭვობ, რომ ესპანეთში შავკანიანებს ადამიანებად მართლა არ თვლიან“ — თქვა ტურამმა.

**ჰოლანდიელი** სპეციალისტი დიკ ადვოკაატი „გლადბახიდან“ წავიდა. მან გერმანული კლუბი ნოემბერში ჩაიბარა, მაგრამ ვითარების გამოსწორება ვერ შეძლო და ამჟამად „გლადბახი“ ბუნდესლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. მთავარი მწვრთნელის პოსტი დროებით სამოყვარულო გუნდის თავკაც ჰორსტ კოპელს ჩააბარეს.

**ესპანური** „ვალენსიას“ ფორვარდი მარკო დი ვაიო თავკაც ანტონიო ლოპესთან შელაპარაკების გამო გაურკვეველი ვადით მოკვეთეს გუნდიდან. „ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ძალიან არ მიყვარს, მაგრამ იძულებული ვიყავი. რა მოხდება შემდგომში, მის ქცევაზეა დამოკიდებული“ — აღნიშნა ლოპესმა.

## სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

**„დიეგო მარადონას** ნუ მოუსმენთ, ეგ კაცი შეშლილია. სხვა დროსაც არ მინახავს დალაგებულად მოსაუბრე, მაგრამ ახლა სულ გაუფრენია... ეტყობა, ოპერაციის დროს მარტო კუჭი კი არა, ტვინიც დაუპარატავეს" — განაცხადა ემერსონ ლეაომ, რომელიც წარსულში ბრაზილიის ნაკრების მეკარე გახლდათ, ამჟამად კი „სან პაულოს" დამრიგებელია. საქმე ის გახლავთ, რომ მარადონამ ორი დღის წინ რასიზმში დადანაშაულებული თანამემამულე, „კილმესის" მცველი ლეანდრო დესაბატო დაიცვა, რითაც ლეაო განარისხა, რადგან დესაბატომ მის ფეხბურთელს, გრაფიტეს მიაყენა შეურაცხყოფა...

„როცა მოედანზე ბურთისთვის ბრძოლაა გაჩაღებული, მეტოქეს შეიძლება ათასი რამ წამოსძახო და ამისთვის უნდა დაგაპატიმრონ? გრაფიტე არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელსაც მოწინააღმდეგე გალანძღავს" — თქვა მარადონამ არგენტინულ „კლარინთან" ინტერვიუში.



ლეანდრო დესაბატო



ემერსონ ლეაო

# ნიგერები, ბრაზილია, არგენტინა და შეშლილი მარადონა

სხვათაშორის „კილმესის" უკანახაზელი ერთი კვირის წინ ლიბერტადორესის თასის თამაშის მერე დააპატიმრეს კიდეც და ორი დღით დაიტოვეს ადგილობრივ „ვირის აბანოში". ამ ორ დღეში კი ენამწარე დესაბატომ ბრაზილიურ მართლმსაჯულებას გამოსასყიდი თანხა 3878 დოლარი გადაუხადა. ის თამაში „სან პაულომ" 3:1 მოიგო, ხოლო მატჩის ერთ-ერთი ეპიზოდისას დესაბატომ მეტოქე გრაფიტეს „ნიგერი" დაუძახა, რაც, პატაგონიელის საუბედუროდ, „ესტადიუ მორუმბიზე" დაყენებულ მიკროფონებს კარგად დაუფიქსირებიათ. როგორც კი შეხვედრა დამთავრდა, გასახდელში კი მისმა ფეხბურთელებთან სანპაულოელი ძალოვნები მიიჭრნენ და დესაბატოს დაუყოვნებლივ კომისარიატში უკრეს თავი. ჩივილით, რა თქმა უნდა, გულნატკენმა გრაფიტემ იჩივლა, მერე კი — არგენტინელის გათავისუფლების შემდეგ — გამოირკვა, რომ დესაბატო საკანში შავკანიანმა ბრაზილიელმა პოლიციელებმა უმოწყალოდაც სცემეს... ერთი სიტყვით, სიტუაცია დაძაბულია. „კილმესის" თავკაცობა აპირებს, ბრაზილიურ მხარეს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს, ხოლო შინაური ფეხბურთელის დაჩაგვრით გაცოფებული არგენტინელი ინასები ყოველგვარ ბრაზილიურის დაწვა-განადგურებით ემუქრებიან.

„არავითარი რასისტული გამოხდომა არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, დესაბატო ბრაზილიაში არგენტინელობის გამო დაიჭირეს, გრაფიტე კი პროვოკატორია, უდანაშაულო კაცი აცემინა" — აცხადებდნენ „კილმესის" აღშფოთებული გულშემატკივრები. სხვა ემერსონ ლეაო, „სან პაულოს" მწვრთნელი კი, რა თქმა უნდა, აზრის შეცვლას არ აპირებს — „დესაბატო კანონის ძალით დაისაჯა. არ ვიცი, სხვაგან როგორ არის, მაგრამ ბრაზილიაში რასიზმი კანონსაწინააღმდეგოდ ითვლება" — დააგვირგვინა მან.





„სანტოსის" წარსული და აწმყო: პელე და რობინიო

# სანტოსი — იყო პელესი, გახდა რობინიოსი

*ისევ და ისევ ბრაზილიელი რობინიოსა და მადრიდის „რეალის" ყბადაღებული თემა: გუშინ „სანტოსის" პრეზიდენტი მარსელო ტეიშეირა თანამემამულე ჟურნალისტებს შეხვდა და კატეგორიულად განაცხადა, რომ მიუხედავად მრავალი ევროპული შემოთავაზებისა, „ახალ პელედ" მონათლული რობინიო „სანტოსს" არ დატოვებს და მომავალ სეზონშიც ბრაზილიაში ითამაშებს*

**მიაქციეთ** ყურადღება, ეს ხდება მაშინ მაშინ, როდესაც „რეალის" წარმომადგენლები საქვეყნოდ იუწყებიან, რომ სანტოსელთან წინასწარი შეთანხმება მიღწეულია და ბრაზილიელი უკვე მათი ფეხბურთელია...

„რობინიო „სანტოსის" სამომავლო პროექტების განხორციელებაში ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს. წარმოიდგენეთ, ჩვენი კლუბის თაყვანისცემელთა არმიას ამ ბიჭის გამო კიდევ რამდენი გულშემატკივარი შეემატება. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ რობინიო უკვე პელეს კლუბის თანამედროვე სიმბოლოა და დღეს მსოფლიოში მისი ბრწყინვალე ბურთაობის გამო გვიცნობენ... გვსურს, ამ ფეხბურთელმა „სანტოსში" 2006 წლის მუნდიალამდე მაინც ითამაშოს — ამბობს მარსელო ტეიშეირა.

„ახალ პელეს" ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტი 2008 წელს უმთავრდება, თუმცა, ხელშეკრულების მიხედვით, თუ რომელიმე გრანდმა მაგალითად, „რეალმა" რობინიოს სარფიანი წინადადება შესთავაზა, ბრაზილიელს თავისუფლად შეუძლია, „სანტოსთან" თანამშრომლობა ვადაზე ადრე შეწყვიტოს.

„მოგეხსენებათ, „სანტოსი" ამ დღეებში 93 წლის გახდა. საიუბილეოდ, გუნდისთვის და გულშემატკივრებისთვის შესაფერის საჩუქარზე ვფიქრობდი და აი, საჩუქარიც — რობინიო ჩვენთან კიდევ დიდხანს დარჩება" — ახარა ტეიშეირამ ქომაგებს.

კი მაგრამ, მადრიდის „რეალი"?..

# ბოროტი იეზი

## მკვლელობა ესტადიო დე კორდობაზე

**არგენტინელი** სეგუნდადივიზიონის კლუბების, „ტალიერერისა" და „ბელგრანოს" შეხვედრაში ტრაგედია დატრიალდა — შაბათს „ესტადიო დე კორდობას" ტრიბუნებზე გულშემატკივართა შეტაკების შედეგად 19 წლის მარტინ კასტრო დაიღუპა. მკვლელები, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, იმ კლუბის გულშემატკივრები არიან, რომელსაც კასტრო ქომაგობდა...

საქმე ის გახლავთ, რომ პატაგონიურ „ტალიერესს" ორი, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფება ქომაგობს „LA FIEL" (მორწმუნე) და LAS VIOKETAS (იეზი). საბრალო მარტინი პირველი საძმოს წევრი იყო. გარდა კასტროსი, „იეზმა" 37 წლის მარსელო კასტილიო და 20 წლის სერხიო კოვალევსკიც გაიმეტეს, თუმც, ამ უკანასკნელთა საბედნიეროდ ხანჯლით მიყენებული ჭრილობები სიცოცხლისთვის სახიფათო არ გამოდგა... მარსელო კასტილიოს 13 წლის შვილიც ზედახორაში მოყვა, შეიარაღებულ ვაი-გულშემატკივრებს მისთვისაც უსვრიათ, ოღონდ აუცილებიათ.

„ეს საშინელებაა. ყოველ წელიწადს აუცილებლად რამდენიმე გულშემატკივარი უნდა მოკლან. ნუთუ არ შეიძლება, აგრესიული დაჯგუფებები ისე გააკონტროლონ, რომ მათ მატჩების შემდეგ სასაკლაოები არ მოაწყონ"?! — წერდა აღშფოთებული არგენტინეული გაზეთი „კლარინი". ავბედით მკვლელობათა ჯაჭვს, ეტყობა, დასრულება არ უწერია. „მორწმუნეებს" „იეზს", „იმპერატორის გვარდიას" და სხვა მრავალ საძმოს 2005 წელს ანუ ბოლო ოთხ თვეში ჯერ არვინ მოეკლა, მაგრამ... ახლა კვლავ სისხლში გაისვარეს ხელი...

# ბომბა არა...

## ჩილეში ჯამბაზობა აკრძალეს

**ჩილეს** ფეხბურთის სადისციპლინო კომიტეტმა „უაჩიპატოს" მობურთალი როდრიგო მილიარი მაისურაზე საკუთარი მეტსახელის დაბეჭდვის გამო 150 დოლარით დააჯარიმა. მხიარულ როდრიგოს კომიტეტის მკაცრი წევრები მოედანზე მაშინ დააკვირდნენ, როცა მას ზურგზე არა მილიარი, არამედ „CHINO" ეწერა..

„ოფიციალური მატჩების დროს მაისურაზე მეტსახელების დაწერას ვერაფრით გავამართლებთ. რა გამოდის, ვისაც რა მოეპრიანება ის უნდა წაიწეროს? ეს დაუშვებელია" — განაცხადა კომიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. გარდა ამისა, სამხრეთამერიკელი ჩინოვნიკები უახლოეს ხანს კიდევ შვიდი ფეხბურთელის საქმეს განიხილავენ. ამ მოთამაშეთა მაისურებს ასევე მეტსახელები „ბომბი", „მატადორი" და სხვა ამდაგვარი ამშვენებს. რასაკვირველია, 150 დოლარით გაღარიბებულ როდრიგო „ჩილელს" დამცველიც გამოუჩნდა — „უაჩიპატოს" პრეზიდენტი მარიო როდრიგესი, რომელმაც განაცხადა: „სადისციპლინო კომიტეტს იუმორის გრძნობა აკლია. ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია „მაისურების საქმეს" სერიოზულად წამოიწყებდა. სხვა რაღა დამრჩენია ვუსურვებ რაც შეიძლება მალე დაინახონ ცხოვრების ნათელ ფერებში". ანხელ ბოტო, კომიტეტის თავკაცი, კი მაინც მრისხანეა:

„ეს ფეხბურთია და არა საჯამბაზო ადგილი. დაე, ფეხბურთელებმა კეთილი ინებონ და მოედანზე გამოსვლის წინ ზურგზე გიჟურ სახელს ნუ დაიწერენ..."

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ხუან ალბერტო სკიაფინო

# კაცი 1950 წლიდან



„მარაკანა“. 1950 წლის 16 ივნისი. სკიაფინოს ამ მკვლელი გოლის თვითმხილველი 200 ათასი ბრაზილიელი გახლდათ

*ხუან ალბერტო სკიაფინო ურუგვაიში გარდახვეწილი იტალიელების შვილი გახლდათ. „პენიაროლში“, სადაც ფეხბურთელის კარიერა დაიწყო მას „პატარა მაესტროს“ ეძახდნენ რითაც სამ მომენტს უსვამდნენ ხაზს: მის გაბარიტებს, ოსტატობას და ... ასე ასხვავებდნენ მოთამაშისგან, რომელსაც „დიდი მაესტრო“ ერქვა. „დიდი მაესტროს“ ნამდვილი სახელი და გვარი ხოსე პენდიბენე გახლდათ თუმცა ამას ჩვენი თხრობისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან შეგვიძლია აქვე ვთქვათ, რომ გარკვეული ხნის შემდეგ „პატარა მაესტრო“ სახელითა და დიდებით დიდზე დიდი გახდა*

„პენიაროლის“ ახალგაზრდულ გუნდში სკიაფინო ცენტრფორვარდად დამკვიდრებას ცდილობდა, მაგრამ აუხსნეს, რომ მისი ზომის კაცს ჯობდა სხვა ამპლუაში ეცადა ბედი და დუბლვეს სისტემაში ინსაიდად ჩასვეს. შედეგად, ოცი წლისა უკვე ურუგვაის ნაკრების წევრი, კოპა ამერიკას მფლობელი და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო.

სკიაფინოზე, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ ვარსკვლავზე საგანგებოდ მაინც მხოლოდ 1949 წელს ალაპარაკდნენ. მიზეზი: 24 წლის ურუგვაელმა სან პაულუში ბრაზილიის ნაკრებს აყარა შავი დღე — 4:3, თუმცა საბრალო ბრაზილიელები ჯერ სად იყვნენ, ერთი წლის შემდეგ, 1950-ში, ახალაშენებულ „მარაკანაზე“ ურუგვაიმ მათ კიდევ ერთხელ მოუგო და ამჯერად არც მეტი არც ნაკლები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ტოლფას შეხვედრაში — სკიაფინო პლანეტის ჩემპიონი გახდა.

არადა, მუნდიალის დაწყების წინ მას ნაკრების მთავარ სიაში ვერ ნახავდით. მასზე მაღლა აყენებდნენ ვალტერ გომესს არგენტინული „რივერ პლეიტიდან“. გომესზე ამბობდნენ, რომ მისი თამაშის სანახავად ურუგვაელები ჭამას ანებებდნენ თავს, მაგრამ ვინაიდან იმ ეპოქაში ლეგიონერობა კარგ საქმედ არ ითვლებოდა გომესი მსოფლიოზე არ წაიყვანეს.

ალბათ ამიტომაც დარჩა ამ ვარსკვლავის სახელი ჩვენთვის, ოკეანისგადმოღმელი ქომაგებისთვის უცხო, მაგრამ რა გაეწყობა.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ გომესს არ გაუმართლა, სამაგიეროდ გაუმართლა ურუგვაის გუნდს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე სუსტ, უფრო სწორედ კი კომიკურ ჯგუფში განთესა იღბალმა — ვინაიდან 1950 წელს ბრაზილიაში ჩასვლაზე მიზეზთა გამო ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ განაცხადა უარი, პირველ ჯგუფურ ეტაპზე გუნდები არათანაბრად განაწილდნენ და შედეგად ურუგვაის ერთადერთი მეტოქე, ბოლივია ერგო, რომელსაც 8:0 მოუგო და საქმე ამით მოამთავრა კიდეც.

ახლა, დავსვათ კითხვა: რვიდან რამდენი გოლი გაიტანა სკიაფინომ? პასუხი: არავინ უწყის. მაშინდელ ბრაზილიაში სტატისტიკა როგორც ჩანს, მაინც და მაინც არ უყვარდათ, ამიტომ სკიაფინოზე ზოგმა ასე თქვა, ზოგმაც ისე. უფრო დამაჯერებელი ვერსიის თანახმად ურუგვაელმა ხუთი გოლი გაიტანა, თუმცა ზოგის მტკიცებით ორზე მეტი არ შეუგდია. აქვე დავძინოთ, რომ რუსებს მეორე ვარიანტი ურჩევნიათ, ვინაიდან ამ შემთხვევაში 1994 წლის ჩემპიონატზე კამერუნის ნაკრების კარში გატანილი ხუთი გოლის ავტორი ოლეგ სალენკო ერთპიროვნული რეკორდსმენბომბარდირი გამოდის, მაგრამ ვაგლახ... ჩვენ ვერც მათ მივეხმარებით და ვერც ლეგენდარულ ურუგვაელს.

და აი, ფინალური ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრა, ბრაზილია — ურუგვაი, რომელშიც ჩემპიონატის მასპინძლებს ფრეც აძლევთ ხელს. შემდეგ თავად სკიაფინო იგონებდა, რომ ამ მატჩში ურუგვაის შანსს 99:1 აფასებდნენ.

რა მოხდა შემდეგ ყველამ იცის. 1950 წლის 16 ივნისს, ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებთა შეხვედრის 65-ე წუთამდე ბრაზილიელები 1:0-ს იგებდნენ, მაგრამ, მოულოდნელად უცნობილესმა ალსიდეს გიჯამ მარჯვენა ფრთაზე გაიფრინა და ბურთი სკიაფინოს გადაუგდო. ჩვენი წერილის გმირმა უშეცდომოდ დაარტყა — 1:1. გაშვებულმა გოლმა ჩემპიონატის მასპინძლები აალელვა, კალაპოტიდან ამოაგდო და... 1:2. მსოფლიოს ჩემპიონი ურუგვაია!

კი მაგრამ რატომ? — კითხულობდნენ შემდეგ ბრაზილიელები. 55 წლის წინანდელი სიმწარე ფეხბურთის ისტორიის ბრაზილიურ წიგნებს დღემდე აქვთ შემორჩენილი და ამ კითხვასაც დაუსრულებლად ატრიალებდნენ ამდენი ხნის განმავლობაში — რატომ?

კითხვაზე პასუხი ასეთი გახლავთ: მეკარე ბარბოსა უდანაშაულოა, მცველი ბიგოდა შეცდა, ის გიჯას უფრო ძალისმიერად უნდა დადგომოდა. და რატომ არ დაუხვდა მცველი ბიგოდა გიჯას ძალისმიერად? იმიტომ, რომ მატჩისწინა დარიგებისას მწვრთნელმა ფლავიო კოსტამ რაღაც სხვა მოსაზრების გამო მას სთხოვა უხეშობისგან თავი შეეკავებინა. ნეტავ ეს სიტყვები სულ არ წამოცდენოდაო, ამბობენ ბრაზილიელები.

1954 წელს, შვეიცარიაში ურუგვაელებმა მორიგ მუნდიალზე მეოთხე ადგილი მოიპოვეს და სკიაფინომ მთელს მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა თავისი მაღალი კლასი. შედეგი: 50 მილიონი ლირას ანუ 72 ათასი დოლარის სანაცვლოდ ალბერტო სკიაფინო „მილანმა“ იყიდა — თანხა, რომელიც თქვენ ახლა ამოიკითხეთ იმ ეპოქაში სარეკორდო გახლდათ. და აქვე... კონტრაქტში იყო ერთი ძალიან საინტერესო პუნქტი, რომლის თანახმადაც სკიაფინოს მეუღლეს ანხელიკას, რომელიც მონტევიდეოში ცხოვრობდა, შეეძლო, როდესაც და რამდენჯერაც მოეპრიანებოდა, მეუღლესთან „მილანის“ ხარჯით ჩაფრენილიყო.

სკიაფინომ შავ-წითლების შემადგენლობაში ექვსი დიდებული სეზონი ჩაატარა და ურუგვაის ნაკრებში ნათამაშევ 25 მატჩს „სკუადრა ატურას“ მაისურით ოთხიც დაამატა.

ხოლო 1960 წელს „მილანი“ „პეპეს“ გამოემშვიდობა. იმავე სეზონში გუნდში 16 წლის ჯანი რივერაც მივიდა და ვეტერან ურუგვაელს ახალი კლუბის მოძებნა მოუხდა. ახალი კლუბი კი „რომა“ გახლდათ, სადაც უკვე სისწრაფედაკარგულმა, მაგრამ მაინც ძალიან სასარგებლო სკიაფინომ ორი წელიწადი დაჰყო და შემდეგ ფეხბურთიდანაც წავიდა.

ხუან ალბერტო სკიაფინო 2002 წლის 13 ნოემბერს გარდაიცვალა.

**პაპუნა ძიდია**



დიდი მილანური ეპოქა...



ბოლო ორი წელიწადი სკიაფინომ „რომაში“ გაატარა



# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 1 | ბოლტონი-საუთჰემპტონი | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 2 | მიდლსბრო-ფულემი | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |

**20 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 3 | ნორვიჩი-ნიუკასლი | 2.45 | 3.3 | 2.65 | 1.4 | 1.27 | 1.46 |
| 22:45 | 4 | პორტსმუთი-ლივერპული | 3.1 | 3.4 | 2.05 | 1.62 | 1.23 | 1.27 |
| 22:45 | 5 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 22:45 | 6 | ბლექბერნი-კრისტალ პალასი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 22:45 | 7 | სიტი-ბირმინგემი | 2.0 | 3.2 | 3.6 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 22:45 | 8 | ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 3.4 | 4.8 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 9 | ჩელსი-არსენალი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:00 | 10 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.1 | 3.3 | 1.85 | 1.82 | 1.27 | 1.18 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 25 | სტოკი-ვესტ ჰემი | 2.85 | 3.4 | 2.25 | 1.55 | 1.25 | 1.35 |
| 22:45 | 26 | ბარნლი-ქპრ | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 22:45 | 27 | ლესტერი-კარდიფი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |

### ინგლისი. I ლიგა

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 40 | რექსემი-ბრენტფორდი | 2.65 | 3.3 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |

### ინგლისი. II ლიგა

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 53 | მაკლსფილდი-საუთენდი | 2.25 | 3.4 | 2.8 | 1.35 | 1.24 | 1.53 |

### ინგლისი. კონფერენსი

**19 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 66 | აკრინგტონი-ალდერშოტი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 22:45 | 67 | ბარნეტი-კარლაილი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 22:45 | 68 | ბარტონი-ნორთვიჩი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 22:45 | 69 | კონვი-იორკი | 2.05 | 3.4 | 3.2 | 1.27 | 1.24 | 1.64 |
